საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

იანვარი-აპრილი
2023

ადვოკატთა სახლი



იანვრიდან ადვოკატთა ასოციაციის ოფისი ახალ შენობაში გადავიდა.

ადვოკატთა სახლში განთავსებულია, როგორც ადმინისტრაციული განყოფილება, ასევე, სასწავლო ცენტრი, ეთიკის კომისია, ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტი.
შენობაში, ასევე, მოეწყო სატრენინგო და საკონფერენციო სივრცეები და კაფეტერია.

ახალი ოფისის მშენებლობას 2021 წლის იანვარში ჩაეყარა საფუძველი. შენობის არქიტექტურამ და კონცეფციამ მაშინვე მიიპყრო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს - Global Architecture & Design Award -ის 2021 წლის გამარჯვებული გახდა. (ავტორი დავით ცუცქირიძე).

ადვოკატთა სახლის მისამართია თინათინ ვირსალაძის 1 ჩიხი #1. (თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ).

ადვოკატთა ასოციაციამ სირაქიუზის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა



ნიუ იორკის შტატის სირაქიუზის უნივერსიტეტისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში, სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემასთან თანამშრომლობის გაფართოებას გეგმავს, რაც საქართველოში კანონის უზენაესობისა და იურიდიული პროფესიის შემდგომ გაძლიერებას ისახავს მიზნად.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციამ საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფ დელეგაციის წევრებს, მოსამართლე/პროფესორ ჯეიმს ბეიკერსა და სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის მოადგილეს, ენდრიუ ჰორსფოლს უმასპინძლა.

სირაქიუზის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს მართლმსაჯულების, სახელისუფლებო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, კერძოდ, პროფესორი ჯეიმს ბეიკერი და ენდრიუ ჰორსფოლი ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელებთან ერთად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, გენერალურ პროკურორს, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების საერთაშორისო ცენტრისა და საერთაშორისო პროგრამირების დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

სირაქიუზის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

სირაქიუზის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში მოსამართლე/პროფესორი ჯეიმს ბეიკერი და სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის მოადგილე, ენდრიუ ჰორსფოლი ადვოკატთა ასოციაციის ახალ შენობაში საქართველოს უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტის დეკანებს შეხვდნენ. შეხვედრა აკადემიურ სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავების გზით იურიდიული პროფესიის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

დელეგაციის წევრებმა, ასევე, შეხვერა გამართეს არასამტავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ასევე, პროფესორმა ჯეიმს ბეიკერმა ადვოკატებისთვის ლექცია ჩაატარა თემაზე: საადვოკატო საქმიანობა და ეროვნული უსაფრთხოება, მათ შორის, ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების საკითხები.

ბენჩ-ბარი: საადვოკატო საქმიანობა და ეროვნული უსაფრთხოება

პროფესორ ჯეიმს ბეიკერისა და ენდრიუ ჰორსფოლის მონაწილეობით ეროვნული უსაფრთხოების თემაზე ბენჩ-ბარი ჩატარდა, შეხვედრაში ადვოკატები და პროკურორები მონაწილეობდნენ.

ბენჩ-ბარის ფარგლებში პროფესორმა ჯეიმს ბეიკერმა მონაწილეებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში შეერთებული შტატების გამოცდილების შესახებ ესაუბრა.

ბენჩ-ბარი: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხები

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე ადვოკატებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე იმსჯელეს, როგორებიცაა - მსაჯულთა ინსტრუქციები, აცილება, შერჩევა, მტკიცებულებათა გამოკვლევა, პროცესის ეფექტიანი მართვა და სხვა. შეხვედრის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და სამომავლო გეგმები.

შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს კონსულტანტი ჯერემი მაკბრაიდი და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უფროსი მრჩეველი მართლმსაჯულების საკითხებში პატრიცია ვილდერმუტი.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თემაზე ბენჩ-ბარი ჩატარდა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench Bar) მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ, ლაშა ქოჩიაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩხეიძემ გახსნეს.

მრგვალი მაგიდის ფორმატში ადვოკატებმა და მოსამართლეებმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგრნლებთან ერთად მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, სასამართლო პრაქტიკა და არსებული გამოწვევები განიხილეს.

ბენჩ-ბარი: ბავშვთა უფლებები - განცალკევების და წარმომადგენლობის საკითხები

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა თემაზე: ბავშვთა უფლებები - განცალკევების და წარმომადგენლობის საკითხები. შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ, თეა ძიმისტარაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩხეიძემ გახსნეს.

მრგვალი მაგიდის ფორმატში მოსამართლეებმა, ადვოკატებმა, იურიდიული დახმარების სამსახურისა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებმა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა და არსებული გამოწვევები განიხილეს.

სხდომაზე განხილულ გამოწვევებთან მიმართებით, მონაწილეები ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებზე შეთანხმდენენ და შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომი განხილვისა და გავრცელების მიზნით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს მმართველ კომიტეტს მიეწოდება. შემუშავებულ რეკომენდაციებს ადვოკატთა ასოციაცია დაინტერესებული წევრებისთვის უახლოეს პერიოდში გაავრცელებს.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ევროკავშირის ელჩს შეხვდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ევროკავშირის ელჩი, პაველ ჰერჩინსკი და ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულებისა და დონორებთან კოორდინაციის პროგრამის მენეჯერი, ანე ბრიგიტე ჰენსენი ესტუმრნენ. დიპლომატებს ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა და აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ჭეხანმა ახლადაშენებული ოფისი დაათვალიერებინეს და ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ადვოკატთა ასოციაციაში მიმდინარე რეფორმები და ევროკავშირის როლი ასოციაციის შემდგომ განვითარებასა და იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში.

მხარეებმა, ასევე, ისაუბრეს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ადვოკატთა ასოციაციის როლზე აღნიშნულ პროცესში. ამასთან, საუბარი შეეხო ევროკომისიის 12 პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების პროცესსა და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

ევროკავშირის ელჩმა ადვოკატთა ასოციაციას მხარდაჭერა აღუთქვა და ურთიერთთანამშრომლობის ის ფორმები მიმოიხილა, რომლითაც ადვოკატთა ასოციაცია და ევროკავშირის წარმომადგენლობა მამავალშიც გააგრძელებენ ერთობლივ მუშაობას, მათ შორის, ევროკავშირის გაფართოების პაკეტის საქართველოს ანგარიშის შედგენის პროცესში ასოციაციის აქტიური ჩართულობის მიმართულებით.

დავით ასათიანს თურქეთის ელჩმა უმასპინძლა

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ბატონ ალი ქაან ორბაის შეხვდა. დავით ასათიანს ელჩმა თურქეთის საელჩოში უმასპიძლა.

შეხვედრაზე მხარეებმა თურქეთისა და საქართველოს იურიდიულ პროფესიებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზებსა და მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო თურქეთის მოქალაქეებისა და ბიზნეს-კომპანიების სათანადო სამართლებლივი დახმარების საკითხებს და ამ პროცესში ქართველი ადვოკატების ჩართულობის მნიშვნელობას.

შეხვედრის ბოლოს დავით ასათიანმა თურქეთის ელჩი ადვოკატთა ასოციაციის ახალ შენობაში მიიწვია.

შეხვედრა „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" კოალიციის წარმომადგენლებთან

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი და აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ჭეხანი ,,დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის'' კოალიციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მართლმსაჯულების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრეს. კოალიციის წარმომადგენლებმა ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებს მათი საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

ასევე, საუბარი შეეხო სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაში ადვოკატთა ასოციაციისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის მნიშვნელობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონულ ჭრილში თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

დავით ასათიანი იურიდიული დახმარების სამსახურის ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს შეხვდა

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდმარე, დავით ასათიანი იურიდიული დახმარების სამსახურის ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს, დავით სიმონიას შეხვდა. შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის ახალ შენობაში ჩატარდა.

შეხვედრის ფარგლებში დავით სიმონიამ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს იურიდიული დახმარების სამსახურში მიმდინარე პროექტებისა და განსახორციელებელი გეგმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მხარეებმა, ასევე, სამომავლო, ერთობლივი პროექტების შესახებ იმსჯელეს.

დავით სიმონია იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელად დანიშვნამდე მოადგილის პოზიციას იკავებდა.

ადვოკატთა ასოციაციაში სემინარი ჩატარდა თემაზე: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (UN OHCHR) მხარდაჭერით 20-21 მარტს ადვოკატთა ასოციაციაში სემინარი ჩატარდა თემაზე: „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები“.

ორდღიან სემინარს ექსპერტები: ლევან მესხორაძე, ირაკლი ყანდაშვილი და კოტე კორკელია უძღვებოდნენ.

სემინარის ფარგლებში მომხსენებლებმა ადვოკატებთან ერთად ისეთი თემები განიხილეს როგორებიცაა:

- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები (გაერო და ევროპის საბჭო).
- განაცხადის დასაშვებობა და საქმის განხილვის წესები და პროცედურები ევროპული სასამართლოს წინაშე.
- მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, ადვოკატის როლი მედიაციაში და სხვა აქტუალური საკითხები.

ადვოკატთა ასოციაციაში ტრენინგი ჩატარდა თემაზე: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების მექანიზმები

განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციაში ტრენინგი ჩატარდა თემაზე: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების მექანიზმები (ადმინისტრაციული საჩივარი და ადმინისტრაციული სარჩელი).

ტრენინგს გიორგი გვენეტაძე უძღვებოდა.

ტრენინგის ფარგლებში ისეთი საკითხები განიხილეს, როგორებიცაა:

- ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებები;
- ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
- ადმინისტრაციულ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების, არარად აღიარების ან ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

ტრენინგში ადვოკატთა ასოციაციის წევრები წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე მონაწილეობდნენ.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს ახალი კანონის აქტუალურ საკითხებზე ტრენინგი 130-ზე მეტმა ადვოკატმა გაიარა

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ადვოკატთა ასოციაციაში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს ახალი კანონის აქტუალურ საკითხებზე ტრენინგების ციკლი ჩატარდა, რომელშიც 130-ზე მეტი ადვოკატი მონაწილეობდა.

ტრენინგებს მოწვეული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამართლის მრჩეველი, გიორგი ჯუღელი უძღვებოდა.
ადვოკატთა ასოციაციის წევრები ტრენერთან ერთად აქტუალურ საკითხებს 6 დღის განმავლობაში განიხილავდნენ.

ტრენინგში მონაწილე ადვოკატები წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე შეირჩნენ.

ტრენინგი ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის წევრებისთვის



USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის წევრებისთვის ტრენინგების ციკლი ჩატარდა თემებზე:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;
- უმცირესობათა უფლებები;
- დისკრიმინაციის აკრძალვა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება;
- ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა;
- სამართლებრივი წერა, კვლევა და ანალიზი

ადვოკატთა ასოციაციის წევრები ექსპერტებთან ერთად აქტუალურ საკითხებს სამი კვირის განმავლობაში განიხილავდნენ.

პროექტი ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის წევრების საქმიანობის ხარისხისა და შესაძლებლობების გაზრდას ითვალისწინებს, რათა კომიტეტის წევრებმა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტსა და რეფორმებში ჩართვა უფრო აქტიურად განაგრძონ.

ადვოკატებისთვის კიბერ უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვის თაობაზე რეკომენდაციები გამოიცა



ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში ჩარევისა და მათი უკანონო მეთვალყურეობის პრევენციის მიზნით ასოციაციის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ გაანალიზდა მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული ადვოკატთა საქმიანობაში უკანონო ჩარევის ფორმები და ადვოკატებისთვის კიბერ უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვის თაობაზე რეკომენდაციები შემუშავდა, რაც წარმოდგენილია ბროშურის სახით ასოციაციის ვებგვერდზე.

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს ასოციაციის წევრებს გაიუმჯობესონ კონფიდენციალურობის ხარისხი და დაიცვან თავი მესამე პირთა მიერ მათი საქმიანობის მეთვალყურეობისგან.

რეკომენდაციები შემუშავებულია ადვოკატთა ასოციაციის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ, რომლის შექმნა და საქმიანობაც მხარდაჭერილია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ.

პროფესიული ეთიკის კლინიკის სტუდენტებისთვის მორიგი სასწავლო კურსი დასრულდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი "პროფესიული ეთიკის კლინიკის" სტუდენტებისთვის მორიგი სასწავლო კურსი ჩაატარა.

ეთიკის კლინიკის ფარგლებში მაგისტრატურის ათმა სტუდენტმა ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ პრაქტიკული კურსი გაიარა. სწავლება სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კურსის დასკვნითი შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციაში ჩატარდა. სტუდენტებს სერთიფიკატები ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე გელაშვილმა გადასცეს.

დავით ასათიანმა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ლექცია ჩაატარა

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) სტუდენტებისთვის ლექცია ჩაატარა თემაზე „პროფესია ადვოკატი“.

დავით ასათიანმა სტუდენტებს ადვოკატის პროფესიის უძველესი ისტორიის, მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ესაუბრა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ასევე, ხაზი გაუსვა იმ რთულ, თუმცა, ღირებულ გზას, რომლის გავლას ადვოკატის პროფესია მოითხოვს.

დავით ასათიანმა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურაც გადასცა.

სპორტული აქტივობები

"მასტერ ლიგასა" და არაერთ საერთაშორისო ჩემპიონატში მონაწილეობის შემდეგ ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდი სენ-ტროპეში მიემგზავრება. **The Nations Cup 2023** - ზე მონაწილეობისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 60-ზე მეტ გუნდს შორის საქართველოს სახელით, ადვოკატთა ასოციაციის გუნდი უკვე დარეგისტრირდა. ჩემპიონატი 6-11 ივნისს საფრანგეთში, კერძოდ, სენ-ტროპეში ჩატარდება.